ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №გ-17.17220842

2022 წლის 25 მარტი

ქ. ბორჯომი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების – სკვერების სახელდების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 24/02/2022 წლის N01/591 წერილის შესაბამისად,

1. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიას ეწოდოს **„მიხეილ თვაურის სახელობის სკვერი“** თანდართული რუკის თანახმად (დანართი 1);

2. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქ. ბორჯომში გრ. ხანძთელის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიას ეწოდოს **„ზურაბ დოიჯაშვილის სახელობის სკვერი“** თანდართული რუკის თანახმად (დანართი 2);

3. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაბა წაღვერში დავით აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიას ეწოდოს **„სოსო მღებრიშვილის სახელობის სკვერი“** თანდართული რუკის თანახმად (დანართი 3);

4. განკარგულება რეაგირებისათვის გადაეგზავნოს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას;

5. განკარგულება, მიღებიდან 10 დღის ვადაში გადაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;

6. განკარგულება მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნდეს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე;

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქუჩა № 62).

ბორჯომის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**